

მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს ღია კარიერული
წესით მოპოვების პროექტის გარემოზე ზემოქმედების
შეფასებაზე „RMG Copper“-ის მიერ დამატებით
წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი

შემსრულებელი ექსპერტი: მამუკა გვილავა

16 ოქტომბერი, 2022 წ.

წინამდებარე დასკვნაში გაანალიზებულია ბოლნისის მუნიციპალიტეტში, „სასარგებლო წიაღისეულის (მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს) ღია კარიერული წესით მოპოვების პროექტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიმართ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის საპასუხოდ სს „RMG Copper“-ის მიერ წარმოდგენილი „ინფორმაცია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 08 აგვისტოს N21/4232 წერილით განსაზღვრული საკითხების/შენიშვნების შესახებ (2020)“.

აღნიშნული ინფორმაცია გაანალიზებულია სააგენტოს მოთხოვნილი საკითხების თანმიმდევრობით და ამავე თანმიმდევრობით არის მოცემული ჩვენი შენიშვნები და წინადადებები, ფორმულირებულია სათანადო მიგნებები და დასკვნები.

1. პირველ რიგში, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ფორმით გაცემულ „პასუხებს“ არ ითვალისწინებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი. სათანადო საკითხები ასახული უნდა იყოს განახლებულ გზშ-ში, ხოლო ინფორმაცია სააგენტოს მოთხოვნებზე რეაგირების შესახებ ასევე ასახული უნდა იყოს იმავე გზშ-ში. სააგენტომ განსახილველად წარდგენილ გზშ-სთან მიმართებაში შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება, რაც ნიშნავს იმას, რომ სააგენტომ დაიწუნა გზშ-ის ანგარიში მთლიანობაში და ფაქტიურად მოითხოვა ანგარიშის გადამუშავება და გზშ-ის განხილვის პროცესის თავიდან წამოწყება, რაც გულისხმობს გზშ-ის ანგარიშის მომზადების სრული პროცედურის თავიდან გავლას, მათ შორის განახლებული და გაუმჯობესებული გზშ-ის გამოქვეყნებას და საჯარო განხილვას.

2. სააგენტო სამართლიანად ითხოვს, რომ „გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ჰაბიტატებზე და მასზე შესაძლო ზემოქმედებაზე. ასევე, არ არის მოცემული ფლორისა და ფაუნის კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად. წარმოდგენილი უნდა იქნეს გადამუშავებული, სათანადო კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ბიომრავალფეროვნების ნაწილი, სადაც ზემოქმედების შეფასების შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრული იქნება შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებებიც.“

ყოველივე ზემოაღნიშნული არ არის წარმოდგენილი არსებულ გზშ-ში და სრულიად უდაოა, რომ ასეთი ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი გზშ-ში (იხ. მუხლი 10. გზშ-ის ანგარიში, პუნქტი 3გ), რაც კიდევ ერთხელ ამყარებს ჩვენს შენიშვნას, რომ აღნიშნული ინფორმაცია განახლებულ გზშ-ში უნდა იქნას ინტეგრირებული და არა წარმოდგენილი მხოლოდ „პასუხის“ სახით.

ამასთან, ზემოაღნიშნული უმნიშვნელოვანესი შენიშვნის საპასუხოდ „არემჯი“ თავიდანვე აცხადებს, რომ „საპროექტო ტერიტორიაზე, 2017 წლიდან, ლიცენზიის ფარგლებში მიმდინარეობს შესწავლითი სამუშაოები. აღნიშნულიდან გამომდინარე, გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების ეტაპზე, შესაბამისი ტყით სარგებლობის უფლების საფუძველზე, კარიერის გარკვეულ მონაკვეთებზე განხორციელდა ხე-მცენარეების ჭრა. შესაბამისად, ტერიტორიაზე პირველადი ზემოქმედება უკვე დამდგარია.“ იგივეა გამოვლენილი ფაუნასთან მიმართებაში: „საპროექტო ტერიტორიაზე, შესაბამისი ლიცენზიის ფარგლებში, 2017 წლიდან მიმდინარეობს საბადოს შესწავლის სამუშაოები, ამიტომ, აღნიშნული ტერიტორია განიცდის ანთროპოგენული ზემოქმედებას და ცხოველთა მაღალი სიმჭიდროვის პოპულაციების არსებობა არ ფიქსირდება, სახეობრივი მრავალფეროვნებაც მცირეა.“

აღნიშნული მიდგომა სრულიად მიუღებელია - სწორედ ამიტომაც ტარდება გზშ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე „ტერიტორიაზე პირველადი ზემოქმედება არ იყოს უკვე დამდგარი“. სავსეა გასვლის დროს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან ერთად უშუალოდ დავრწმუნდით, თუ რა ძლიერ ზემოქმედებას ახდენს გეოლოგიური „შესწავლითი სამუშაოები“ ტყის სათუთ გარემოზე და ეს ყოველივე კარგად ჩანს როგორც ადგილზე დაკვირვებით, ისე გუგლის სატელიტური სურათებით, თუ როგორ ძლიერ ზემოქმედებას ახდენს „შესწავლითი სამუშაოები“. სურათს უნდა დაემატოთ დიდი დახრამული ღარები მთის ფერდზე ტექნიკის უკონტროლო და უსისტემო გადაადგილების შედეგად ბურღვის სამუშაოების შესასრულებლად და ყოველივე ეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე.

ადგილზე გარემოსდაცვით მართვის ნიშანიც კი არ ჩანს. ისმის კითხვა, ვინ აღადგენს და შესაძლებელია თუ არა გარემოს აღდგენა, თუკი უარყოფითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება იქნება მიღებული?



„შესწავლითი სამუშაოების“ ზემოქმედება პროექტის არეალში (წითელი) და მის გარეთ (ყვითელი წრე).

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე „შესწავლითი სამუშაოების“ გარდა დიდი ხანია წამოწყებულია წყალმომარაგების რეზერვუარის და მთლიანად სისტემის მშენებლობა, თანაც პროექტის არცერთი ამ კომპონენტის გარემოზე ზემოქმედება საერთოდ არ არის განხილული დოკუმენტაციაში. არადა ადგილზე ვიზიტისას დავრწმუნდით, რომ ძლიერი ზემოქმედების მქონე წყალმომარაგების რეზერვუარის სამუშაოები თითქმის დასრულებულია, თანაც სამუშაოების გარემოსდაცვითი მართვა, ასევე აშკარად, მიმდინარეობს სერიოზული დარღვევებით, თუკი საერთოდ ხორციელდება აქ გარემოსდაცვითი მართვა. ან როგორ განხორციელდება, როცა სამუშაოების ზემოქმედება არ არის შეფასებული და არც გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არსებობს შემუშავებული ამ საქმიანობებისთვის.

4. წყალმომარაგების პროექტი, რომელიც რამდენჯერმე არის წარმოდგენილი, როგორც სოციალური ღონისძიება, საერთოდ არ არის აღწერილი პროექტში. ადგილობრივების ინფორმაციით, წყალდება მოხდება მდინარე მაშავერადან. ეს უკანასკნელი საყოველთაოდ და სავალალოდ ცნობილი მდინარეა საქართველოს მასშტაბით, რომელიც ათწლეულებია ბინძურდება „არემჯის“ და მისი წინამორბედების საქმიანობების შედეგად, მათ შორის მძიმე მეტალებით. წყლის ანალიზიც კი არ არის ჩატარებული და ჩადებული გზშ ანგარიშში, ისე აპირებს „არემჯი“ სოფლის მომარაგებას პოტენციურად მძიმედ დაბინძურებული წყაროდან. ამასთან, საქმიანობა, რომელიც შესაძლოა არც იყოს მიზანშეწონილი, თუკი ჩატარდება სასმელი წყლის წყაროს ხარისხის ანალიზი და გამოვლინდება, რომ წყალი მავნე ადამიანის ჯანმრთელობისთვის, უპირობოდ და ყოველგვარი შეფასების გარეშე უკვე ხორციელდება და ძლიერი ზემოქმედებაც უკვე აქვს გარემოზე.

5. სააგენტოს მკაფიო მოთხოვნის „წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ჭრას დაქვემდებარებული სახეობების შესახებ, ჭრის ადგილებისა და რაოდენობის მითითებით“ საპასუხოდ ცხრილი 1-ის სახით წარმოდგენილია „გარემოდან ამოსაღები ხე ტყის რესურსის მახასიათებლები მათი ამოღების სატყეო კვარტლების მიხედვით“, სადაც მითითებულია გაურკვეველი გეოგრაფიული კოორდინატები, მაგრამ არ არის წარმოდგენილი არც „პასუხებში“ და არც „დანართებში“ ზუსტი ორთო-რუკა და ასევე არც გის-ის ფაილები, თუ კონკრეტულად სად მოდებდა ხე ტყის რესურსების „ამოღება“.

6. სააგენტოს შეკითხვაზე, რომ კარიერამდე მისასვლელ გზის ზემოქმედებები შეფასებული არ არის გზის გაურკვეველი სიტყვიერი აღწერილობაა წარმოდგენილი და მოკლე პასუხია გაცემული, რომ „წინამდებარე დოკუმენტის პირველ პუნქტში აღწერილი ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების დახასიათება და შემარბილებელი ღონისძიებები მოიცავს გზის მშენებლობის პროცესში ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების და შემარბილებელი ღონისძიებების აღწერას“, რაც სიმართლეს არ შეესაბამება - გზის ზემოქმედებები ამ ნაწილში აღწერილი არ არის.

7. ამასთან არც სააგენტო კითხულობს და არც „არემჯი“ განიხილავს აღნიშნული გზის მდებარეობის ალტერნატივებს, რაც კანონმდებლობის დარღვევაა, რითაც საქმიანობის შეჩერების საფუძველს იძლევა.

8. იგივე შეეხება მუხლი 10. გზმ-ის ანგარიში, პუნქტი 3ე-ს იმპერატიულ მოთხოვნას, რომ გზმ-ში წარმოდგენილი იყოს „ე) ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატივების შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით, აგრეთვე ინფორმაცია აღნიშნული გამონამუშევრის განთავსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)“ - გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყაროს) ალტერნატივები განხილული არ არის, რაც კანონმდებლობის უხეში დარღვევაა და საფუძველი უნდა გახდეს სააგენტოს მიერ საქმიანობაზე უარის თქმის (მუხლი 14. საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, პუნქტი 1ა).

9. სააგენტო ითხოვს, რომ „წარმოდგენილი უნდა იყოს ფაუნაზე ბურღვა-აფეთქებით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.“ „არემჯის“ პასუხში ყველაფერზეა საუბარი, გარდა „ფაუნაზე ბურღვა-აფეთქებით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები“-სა.

10. სააგენტო მართებულად ითხოვს და აქაც ვიმეორებთ მის მოთხოვნას, რომ „საწარმოს განთავსების ტერიტორიის, ტექნოლოგიისა და არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და სათანადოდ დასაბუთებული. ამასთან, პროექტის საჭიროების დასაბუთების ჭრილში, სათანადოდ არ არის დასაბუთებული პროექტის განხორციელების ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი. არ არის შეფასებული ის დანაკარგი, რომელიც მოპოვებითი საქმიანობის განხორციელებით მიადგება ბუნებრივ თუ სოციალურ გარემოს. გარდა ამისა, პროექტის განხორციელებით მიღებული დანაკარგის შესახებ ინფორმაციის არარსებობის პარალელურად, ანგარიშში მხოლოდ ზოგადი სახის ჩანაწერებია წარმოდგენილი იმის შესახებ, თუ რა იქნება პროექტისგან მიღებული სრული სარგებელი, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის და მუნიციპალიტეტისთვის, ასევე ქვეყნისთვის.“

„არემჯი“ მართალია „ნაწილობრივ“ იზიარებს შენიშვნების მართებულობას (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ მსგავს შენიშვნას), მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არადაამაჯერებელია და არასრული და არ პასუხობს დასმულ უმნიშვნელოვანეს შეკითხვებს.

კერძოდ, პროექტის გარეშე ალტერნატივასთან მიმართებაში კი არ ასწორებს, არამედ იმეორებს მცდარ დასკვნას მოყვანილს გზმ-ში, რომ „საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში (ნულოვანი ალტერნატივა) მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს ტერიტორიის სხვა დანიშნულებით

განვითარების შესაძლებლობა პრაქტიკულად შეზღუდულია.“ ეს არ გახლავთ სწორი ინტერპრეტაცია „უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის“ განმარტების, რომელიც, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, გულისხმობს „საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით.“ გზშ-ის და „პასუხების“ ავტორებს როგორც ჩანს ბოლომდე არ ესმით გზშ-ის პროცესისათვის ცენტრალური მნიშვნელობის მქონე უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის დანიშნულება (რაც არ მდგომარეობს პროექტის არგანხორციელებაში), ზემოთ ციტირებული დასკვნა კი გარკვეული სახის მსუბუქი „მუქარის“ შემცველიც კი არის, რომ თუ ხელისუფლება არ მიიღებს დადებით გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, „არემჯი“ არავის მისცემს უფლებას რაიმე საქმიანობა აწარმოოს მის ლიცენზიის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე. იმედია, „არემჯი“ ვერ შეუზღუდავს „გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების“ უფლებას. სააგენტოს სავარაუდოდ მოუწევს მძიმე გადაწყვეტილებების მიღება იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველყოს უარყოფითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით უკვე დაზიანებული გარემოს აღდგენის პირობების „არემჯის“ წინაშე წაყენება და შესრულება - ამ შემთხვევაში ნულოვანი ალტერნატივა და „გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარება“ სწორედამ რომ სასურველი ალტერნატივა იქნებოდა და ამ ტერიტორიაზე, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია, „არემჯის“ მიერ ბუნების აღდგენის სამუშაოები იქნებოდა დასაშვები.

11. რაც შეეხება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მუხლი 10. გზშ-ის ანგარიში პუნქტის 3ზ მოთხოვნას, რომ გზშ-ის ანგარიში მოიცავდეს „ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში“, წარმოდგენილი ანალიზი არაა დამაჯერებელია, მეთოდოლოგიურად ხშირად გაუგებარიც და ვერ ჩაითვლება საუკეთესო პრაქტიკად. ნიშანდობლივია დასკვნის სახით მოყვანილი ერთერთი განცხადება, რომ „აღნიშნული საბადოს ექსპლუატაციაში გაშვების (დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების) გარეშე შეუძლებელი იქნება სამთო და გადამუშავების სამუშაოების უწყვეტი გაგრძელება, რაც ნეგატიურად აისახება დასაქმებულ პერსონალზე, რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.“ ეს განცხადება მოგვაგონებს განცხადებებს, რომელსაც „არემჯი“ აკეთებდა საყდრისი-ყაჩაღიანის „საბადოს“ ათვისების არგუმენტირებისას და რომელსაც აფეთქებით შეეწირა საქართველოს და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ნაწილის მიერ აღიარებული კულტურული მემკვიდრეობის დარღობრივი ობიექტი - მსოფლიოში უძველესად აღიარებული ოქროს საბადო. იგივე დამაჯერებლობადაკარგული არგუმენტების გამოყენების ნაცვლად, ანალიზი ბევრად უფრო მომგებიანი იქნებოდა, თუკი „არემჯი სპილენძი“, ან „არემჯი გოლდი“, ან თუნდაც სააგენტო, შეასრულებდნენ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნას „საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგებს ითვალისწინებს გზშ-ისადმი დაქვემდებარებული სხვა საქმიანობისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ (მუხლი 17. საქმიანობის შემდგომი ანალიზი), აღიარებდა საყდრისი-ყაჩაღიანის უარყოფით შედეგებს, გაითვალისწინებდა მიღებულ მწარე გაკვეთილს და აღარ გამოიყენებდა ისეთივე რიტორიკას, არამედ ხარისხიან გზშ-ს მოამზადებდა წარსული უარყოფითი გამოცდილების გათვალისწინებით. უპრიანი იქნებოდა, გადაწყვეტილების მიღებამდე სააგენტომ მოსთხოვოს „არემჯის“ გაანალიზოს საყდრისი-ყაჩაღიანის პროექტის გზშ-ის უარყოფით შედეგები. აღნიშნულ კონტექსტში (კულტურული მემკვიდრეობის განადგურება) სრულიად მიუღებელია დასკვნა „კომპანია RMG-ს გაჩნია მაღალი სოციალური და კორპორაციული პასუხისმგებლობა, რის ფარგლებშიც კომპანია უზრუნველყოფს კულტურის, სპორტის, ბიზნესის და სხვა ინიციატივების ხელშეწყობას.“

12. ისევ საყდრისი-ყაჩაღიანის დაკარგული კულტურული მემკვიდრეობის საკითხთან მიმართებაში, „პასუხებში“ მოხსენებულია, რომ „კომპანიამ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბოლნისის მუზეუმის გახსნა“, თუმცა ისევ არ საუბრობს კომპანია, თუ საერთოდ რამ გამოიწვია ამ მუზეუმის შექმნის საჭიროება - აღნიშნული ინიციატივა საყდრისი-ყაჩაღიანის კულტურული მემკვიდრეობის

ობიექტის აფეთქების და კარგვის საკომპენსაციო ღონისძიებას წარმოადგენს, და არა „...მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას ... კულტურულ ... ჭრილში“.

13. „დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში“ ანალიზისას გაუგებრობას იწვევს განცხადება, რომ „ექსპორტის 30 % წიაღისეულთანაა დაკავშირებული (დამუშავებული და ნახევრად დამუშავებული წიაღისეული) და მშპ-ში სექტორს შეაქვს მნიშვნელოვანი წილი.“ აღნიშნულ ექსპორტს ახორციელებს „არემჯი“ და მისი მფლობელები და არა საქართველო. ამ ექსპორტს არემჯის და მისი მფლობელების მშპ-სი შეაქვს აღნიშნული წვლილი და არა საქართველოს ეკონომიკის და მოსახლეობის კეთილდღეობაში. საინტერესოა, როდის და როგორ მოხდა, რომ საქართველოს საზოგადოების და ქვეყნის ეკონომიკის სარგებლის ნაცვლად აღნიშნული ასტრონომიული შემოსავლები (საქართველოს ექსპორტის 30 %-ის სიდიდის) კერძო ინტერესების სარგებლად იქცა - ამის შესახებ არაფერია ნათქვამი გზშ-ის ანგარიშში. არადა საზოგადოების მხრიდან ისმის საკითხი - როგორც საზოგადოება, რატომ უნდა შევეგუოთ და ავითანოთ უძლიერესი შეუქცევადი ზემოქმედებები ჩვენს გარემოზე, როდესაც წვლილი შეტანილი საქართველოს რეალურ ეკონომიკურ შემოსავლებში სრულიად უმნიშვნელოა. აღნიშნული დასტურდება მოყვანილ მაჩვენებლებში, სადაც მხოლოდ საგადასახადო შემოსულობებზეა საუბარი და არა ქვეყნისათვის ამ პროდუქციის ექსპორტით მიღებულ შემოსავლებზე.

14. იმავე ანალიზის შემადგენელ ნაწილად განიხილება ის საქმიანობები, რომლის ფარგლებშიც „მოსახლეობასთან შეთანხმებით 700 000 ლარი დაიხარჯება სოფ. მუშევანის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მათ შორის წყალმომარაგების მიზნებისათვის“. თუმცადა, როგორც უკვე აღინიშნა, თუკი დადასტურდება, რომ წყალმომარაგების წყარო, მდინარე მაშავერა, კვლავც მძიმე მეტალებით არის დაბინძურებული (მაგ., სპილენძი, ტყვია, თუთია, კადმიუმი), ეს სარგებელი ჯანმრთელობის დაცვაზე დახარჯულ მნიშვნელოვან ხარჯებად დაუბრუნდება მუშევანის მოსახლეობას, რაც გასაგები მიზეზების გამო დოკუმენტში შეფასებული არ არის.

15. აქვე ვიგებთ, რომ „300,000 ლარი მოსახლეობის სოციალური და საგანმანათლებლო საჭიროებებს“. იმედია აღნიშნული მოხმარდება მუშევანის სკოლის შენობის სრულ რეაბილიტაციას, სადაც, როგორც მოსახლეობასთან შეხვედრისას შევითქვეთ ერთერთი ადგილობრივი მოსახლის მხრიდან, ბავშვებიც კი დაღუპულან სკოლის დამხმარე ნაგებობის ჩამონგრევაში მოყოლის შედეგად. ვალდებულებას ვიდებთ, უსასყიდლოდ შევასრულოთ აღნიშნული სკოლის გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების შეფასება და მოვაშადაოთ სათანადო წინადადებები „არემჯის“ გარემოს და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განსახორციელებლად, თუმცა აღნიშნული პროექტის ფარგლებს მიღმა. იმედია, „არემჯის“ ისევე უღირს ბავშვების უსაფრთხოებაზე ზრუნვა, როგორც იგი დაიხარჯა საყდრისის საკომპენსაციო მუზეუმის აგებით.

16. ანალიზის ბოლოს „არემჯი“ მესამეჯერ იმეორებს არგუმენტს „ნულოვანი ალტერნატივა როგორც კომპანიის, ისე ქვეყნისთვის, შემოსავლების შემცირების, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით არამომგებიანი ალტერნატივაა და უარყოფილ უნდა იქნეს.“ მესამეჯერ ვიმეორებთ ჩვენც, რომ აღნიშნულ დასკვნას არანაირი კავშირი არ აქვს კოდექსის „უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის“ განმარტებასთან და დანიშნულებასთან - ფრაზა მხოლოდ „ბრეინვოშინგს“ ემსახურება.

17. თუკი დავუბრუნდებით სააგენტოს მიერ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსითაც მოთხოვნილ „გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;“ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუკი თუნდაც „ბრეინვოშინგის“ სახით წარმოდგენილია არგუმენტები ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში, არგუმენტები გარემოსდაცვით და კულტურულ ჭრილში რეალურად საერთოდ არ არის წარმოდგენილი. ამდენად, სრულყოფილი პასუხი არ არის გაცემული სააგენტოს შეკითხვაზე.

18. ცხრილში 1, „ნიადაგის ქიმიური ანალიზის შედეგები“, ჩანს რომ ზოგიერთი პარამეტრი აღემატება ზღვ-ს, თუმცა არანაირი დასკვნები „პასუხებში“ მოყვანილი არ არის.

19. სააგენტოს მოთხოვნით ფუჭი ქანების სანაყაროს აღწერისას გაწყლიანების და მდგრადობის დარღვევის შემარბილებელი ღონისძიებების მთელი კასკადია წარმოდგენილი ორ გვერდზე, თუმცა არ ერთვის რუკა, რომლითაც მკითხველისთვის გასაგები გახდებოდა კონკრეტულად თუ რაზეა საუბარი პასუხში.

20. სააგენტოს მოთხოვნით წარმოდგენილია გარემოს მონიტორინგის განახლებული გეგმა, მაგრამ არც მასში და არც მთლიანად გზშ-ში საუბარი არსად არ არის მუშევანის უკვე მშენებარე წყალმომარაგების სისტემის სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგზე. მუშევანის მოსახლეობას მოვუწოდებთ განსაკუთრებული სიფრთხილისკენ არ გამოიყენონ წყალი სასმელად არ მოსარწყავად მძიმე მეტალებზე და სხვა დამაბინძურებლებზე წყლის ანალიზის სათანადო რეგულაციებით ჩატარების გარეშე.

21. ვემხრობით სააგენტოს შენიშვნას, რომ ტერმინი „წარბა“ გამოყენებული არ უნდა იყოს.

22. „არემჯის“ პასუხებში „ცხრილი 20.1. პერსონალური ვალდებულებანი (გზშ-ს ანგარიშის მიხედვით ცხრილი 12.6.15)“ გასწორებულია სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა „გარემოს დაცვის სამსახურის პერსონალ“-თან მიმართებაში გაურკვეველია, რას ნიშნავს „გარემოს დაცვის დირექტორი/მოდელი“, ამდენად ცხრილი კვლავაც დასაზუსტებელი და გასასწორებელი რჩება. ჩვენი წინადადებაა, გასწორდეს და ინტეგრირებულ იქნას საბოლოო გზშ-ში, რაც უნდა დაექვემდებაროს გზშ-ის სრულ პროცესს.

23. ვემხრობით მწვანე ალტერნატივის შენიშვნებს და არ ვიზიარებთ კომპანიის პასუხს და ამასვე მოვუწოდებთ სააგენტოს, რათა „არემჯი“ იძულებული გახდეს რეალურად შეასრულოს კუმულაციური ზემოქმედების ანალიზი და თავი დაანებოს salami slicing-ს. შეიძლება არ ესმით ამ ტერმინის შინაარსი, მაგრამ სწორედ salami slicing-ის პროცესში დავკარგეთ საყდრისი-ყაჩაღიანი, სადაც ასევე არ შესრულდა კუმულაციური და ბევრი სხვა ანალიზი, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. იმის მაგივრად, რომ საყდრისი-ყაჩაღიანით „არემჯის“ მთელს მსოფლიოში ეამყა, თუ როგორ შეინარჩუნა მსოფლიოს უძველესი ოქროს მადარო, კომპენსაციის ხარჯების გაღება მოუხდა მუზეუმზე, სადაც გამოფენილია საყდრისი-ყაჩაღიანის არტეფაქტები და რითაც დასტურდება იმ დარგთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის შეუქცევადი დანაკარგი, რომელ დარგსაც ემსახურება „არემჯი“. როგორც ჩანს, ისეთ კომპანიას, რომელიც პატივს არ სცემს საკუთარ დარგს, ვერც კუმულაციური ზემოქმედებების არსს გავაგებინებთ და ვერც იმას ავუხსნით, თუ რა შინაარსს ატარებს salami slicing-ი.

24. ვეთანხმებით მწვანე ალტერნატივის პოზიციას კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებითაც და არ ვეთანხმებით „არემჯის“ საპასუხო პოზიციას. თუმცა, გამოვთქვამთ „კმაყოფილებას“, რომ ამჯერად საყდრისი-ყაჩაღიანის მსგავსად უშუალო აფეთქების საშიშროება ჯერჯერობით როგორც ჩანს არ ემუქრება მითითებულ ობიექტებს, რადგან მათ მახლობლად ჯერ არ არის აღმოჩენილი ოქროს ან სპილენძის მადანი.

საყურადღებოა, რომ კომპანიის ინფორმაციით სწორედ „ქვემო ქართლის რეგიონში დაბინძურების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი „საყდრისის კომიტეტის“ წევრები განახორციელებენ მონიტორინგს საამფეთქებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე.“ სამწუხაროდ, საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს უძველესი მადაროს კულტურული მემკვიდრეობა ვერ გადაარჩინა „საყდრისის კომიტეტის“ ძალისხმევამ. იმედი გვაქვს „საყდრისის კომიტეტის“ წევრების მხარდაჭერის იმ საკითხში, რომლებიც წარმოდგენილია

ზემოთ მე-11 პუნქტში და რომელიც შეეხება საყდრისი-ყაჩაღიანის საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგების გათვალისწინებას.

25. საყდრისის კომიტეტის წარმომადგენლების წინადადება „სანაყაროს მოწყობისა, ტყის კაფვისა და სარეკულტივაციო სამუშაოებთან დაკავშირებით კომიტეტის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება ამოღებული გრუნტით შეივსოს კარიერის ტერიტორია“ უპასუხოდ დარჩა „არემჯის“ მხრიდან.

26. სააგენტოს შენიშვნის თანახმად „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ, 2022 წლის 28 ივლისს წარმოდგენილ იქნა განცხადება, სადაც მოცემულია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნები/მოსაზრებები“ და რომ საჭიროა წარმოდგენილ იქნას „განცხადების წარმომდგენ პირებთან კომუნიკაციის (მათთან შეთანხმების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტაცია.“ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივასთან“ შეთანხმების დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ ყოფილა. ამდენად, სააგენტოს გადასაწყვეტია ის საკითხები, სადაც განმცხადებლის და მოპასუხის მოსაზრებები არ ემთხვევა ერთმანეთს, შედეგები უნდა ეცნობოს განმცხადებელს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება, ხოლო სააგენტოს პოზიცია აღნიშნულ შეუთანხმებელ საკითხებთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებაში უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

აქვე, ვსარგებლობთ შემთხვევით და „არემჯის“ მიერ გაცემულ „პასუხებზე“ წარმოდგენილ შენიშვნებზე დამატებით წინასწარ და შემოკლებულ ფორმატში წარმოვადგენთ ზოგიერთ წინადადებას და შენიშვნას გზშ-ის დღეს არსებულ დოკუმენტთან მიმართებაში. საბოლოოდ ჩვენს დეტალურ წინადადებებს და შენიშვნებს წარმოგიდგენთ გზშ-ის განახლებული ვარიანტის განხილვის პროცესში. არსებულ გზშ-სთან მიმართებაში კი შემდეგ საკითხებს გამოვყოფდით (ჩამონათვალი არასრულია):

27. გზშ-ის შემსრულებლები არ წარმოადგენენ პროფესიულ საკონსულტაციო კომპანიას, მითუმეტეს საერთაშორისო გამოცდილების მქონეს, რაც პოტენციურად სერიოზულ ეჭვს იწვევს შემსრულებელთა კვალიფიკაციის და გზშ-ის ხარისხის მიმართ. არსებული უარყოფითი გამოცდილება (მაგ. საყდრისი-ყაჩაღიანის პრობლემის აფეთქებით გადაჭრა) არ აძლევს კომპანიას იმის ამბიციას, რომ პროფესიონალი კონსულტანტების გარეშე, მხოლოდ შიდა რესურსების გამოყენებით მოამზადოს ხარისხიანი გზშ.

28. კუმულაციური ზემოქმედებების შეფასება რეალურად შესრულებული არ არის და ის, რაც წარმოდგენილია, ვერ ჩაითვლება კუმულაციური ზემოქმედებების ხარისხიან განხილვად.

29. მე-2 თავში საკანონმდებლო საფუძვლების საბაზისო ანალიზი ძალიან მოკლედ და სქემატურად არის განხილული, როგორც ჩანს მოვალეობის მოხდის მიზნით.

30. როგორც უკვე აღინიშნა, უმოქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა არასწორად არის განხილული (თუმცა, სათანადო განმარტება მოყვანილია კოდექსიდან). ამასთან, მტკიცება „აქ დიდი ინვესტიციებია დაბანდებული, შესაბამისად, სამთო-მოპოვებით მრეწველობაზე უარის თქმა უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე“ არ წარმოადგენს არანაირ გარემოსდაცვით არგუმენტს უმოქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის განხილვისთვის.

31. თუკი „არემჯის“, როგორც ლიცენზიის მფლობელს, არ სურს დაჯარიმებულ იქნას ნულოვანი ალტერნატივის მიზეზით, მას ყოველთვის შეუძლია უარი თქვას ლიცენზიაზე და აღარ დაჯარიმდება - „დაჯარიმების“ არგუმენტაცია ვერ გამოდგება უმოქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის განხილვისას.

32. „არემჯი“ გზშ-შიც პრინციპულად არ განიხილავს განხორციელების ადგილის ალტერნატივებს, რაც კოდექსის (ანუ კანონმდებლობის) პირდაპირი დარღვევაა და საფუძველი უნდა გახდეს სააგენტოს

მიერ საქმიანობაზე უარის თქმის (მუხლი 14. საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, პუნქტი 1ა), მითუმეტეს, რომ კოდექსი იმპერატიულად ითხოვს გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყაროს) ალტერნატივების განხილვას (მუხლი 10, პუნქტი 3ე).

33. როგორც უკვე აღინიშნა, მსგავსი განცხადება „საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას, რომ ნულოვანი ალტერნატივა როგორც კომპანიის, ისე ქვეყნისთვის, შემოსავლების შემცირების თვალსაზრისით არამომგებიანი ალტერნატივაა და უარყოფით ხასიათს ატარებს“ გზშ-ში მიუღებელია და ამავე განცხადებას „არემჯი“, გასწორების ნაცვლად, განმეორებით ადასტურებს პასუხებში სააგენტოს მიმართ.

34. თუკი უმოქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა განიხილება მაინც, პრინციპულად არ განიხილება მდებარეობის ალტერნატივა, ხოლო რაც შეეხება ტექნოლოგიურ ალტერნატივას, ავტორების განცხადებით „საბადოს დამუშავების ღია კარიერულ მეთოდს ალტერნატივა არ გააჩნია“. ამდენად, შემოთავაზებული „მიწისქვეშა მოპოვების“ ალტერნატივა რეალობას არ შეესაბამება და იგი ვერ იქნება განხილული გონივრულ ალტერნატივად, ამდენად რეალურად ტექნოლოგიური ალტერნატივებიც არ არის შემოთავაზებული, რაც კანონდარღვევაა და ასევე ქმნის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენების საფუძველს.

35. კვირაში 1-2 აფეთქება ნიშნავს წელიწადში 55-110 აფეთქებას და არა 55-ს (იხ. გზშ გვ. 14).

36. ქვეთავის „3.3 პროექტის ხარჯებისა და სარგებლის ანალიზია“ შინაარსი ისევე მიუღებელია ჩვენთვის, როგორც სააგენტოსთვის. ამ საკითხზე კიდევ უფრო დეტალურ შენიშვნებს განახლებული გზშ-ის განხილვის შემდეგ წარმოგიდგენთ (როგორც ეს არემჯის „პასუხების“ მიმართ წარმოგიდგინეთ).

37. ამავე ქვეთავში 3.3 ნათქვამია, რომ „ზარალი დაკომპენსირებული იქნება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ დაანგარიშებული თანხის ოდენობით (იხ. დანართი 8)“, თუმცა დადართში 8 არანაირი თანხა არ არის დაანგარიშებული.

38. ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში ასევე მიუღებელია საბოლოო დასკვნა, რომ „...შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში ქონების და მოგების გადასახადების სახით მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე, საკმარისია იმისათვის, რომ მიზანშეწონილად ჩაითვალოს პროექტის განხორციელება და დასაშვებად იქნას მიჩნეული სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე შესაძლო ზემოქმედება...“. აღნიშნულ დასკვნას არანაირი შემხებლობა არ აქვს ალტერნატივების ანალიზთან.

39. გზშ-ში გზის გის-კოორდინატები არ არის მოწოდებული, რაც ჩვეულებრივ გზშ-ის დახარვეზების საფუძველი ხდება ხოლმე.

40. ვრცელი ისტორიული ექსკურსი მე-19 გვერდზე არაფერს ამბობს საყდრისი-ყაჩალიანის უძველეს საბადოზე. ეს საკითხი ერთხელაც არ არის მოხსენიებული გზშ-ში, არათუ განხილული.

41. იქვე მოყვანილ რუკაზე „4.1.2. ბოლნისის მადნიანი რაიონის მიმოხილვითი რუკა“, არაფერი არ იკითხება, მათ შორის, მაგალითად, თუ სად მდებარეობს აწ უკვე „დამუშავებული“ საყდრისი-ყაჩალიანის „თანამედროვე“ საბადო.

42. სამუშაოების ხანგრძლიობასთან დაკავშირებით სრული გაუგებრობაა - დოკუმენტის შესაბამისად 6 წლიდან 10 წლამდე და 20 წლამდეც კი შეიძლება გასტანოს სამუშაოებმა. არ გვგონია, რომ სოფ. მუშევანის მოსახლეობას არ აინტერესებდეს, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება მათ მიმდებარედ ზუსტად „808“ მეტრში მიმდინარე აფეთქებები და მოპოვებითი სამუშაოები.

43. შემარბილებელი ღონისძიებები არასტანდარტული ტექსტური ფორმით არის წარმოდგენილი და არა ტრადიციული ფორმატით, ცხრილების სახით, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ „არემჯიმ“ უნდა გაიღოს სათანადო სახსრები და სასურველია საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესიონალი კონსულტანტებისგან შემდგარი ჯგუფი მოიწვიოს, რათა მოხერხდეს და სათანადო ხარისხით შესრულდეს ეს მნიშვნელოვანი გზა.

44. ზემოაღნიშნულის სისწორე დასტურდება ავტორების ჩამონათვალითაც, სადაც სპეციალისტთა უმეტესობა „არემჯის“ თანამშრომელია, ხოლო ზოგიერთი მითითებული მოწვეული სპეციალისტის გამოცდილება და ექსპერტიზა მკითხველისთვის უცნობი რჩება.

45. დაბოლოს, დოკუმენტის არასათანადო ხარისხის პირობებში (რაც დასტურდება სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტით) მიუღებელია მიდგომა, რომ თურმე „გეგმა „ცოცხალი“ დოკუმენტია და მისი დაზუსტება და კორექტირება მოხდება სამუშაო პროცესში მონიტორინგის/დაკვირვების საფუძველზე. პასუხისმგებლობა გარემოსდაცვითი მონიტორინგის და მენეჯმენტის წარმართვაზე ეკისრება ოპერატორი კომპანიის გარემოსდაცვით საკითხებზე პასუხისმგებელ პირს“. სამწუხაროდ, ვერ დავტოვებთ მუშევანის მოსახლეობას და ჩვენი ქვეყნის გარემოს და ეკოსისტემებს არასათანადო ხარისხით შესრულებული „ცოცხალი“ დოკუმენტის იმედზე და ვერ ვენდობით მხოლოდ „ოპერატორი კომპანიის გარემოსდაცვით საკითხებზე პასუხისმგებელ პირს“ პირად პასუხისმგებლობას.